

ნინო ქავთარაძე  
ასისტენტი პროფესორი  
თბილისის იუ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

## მხატვრულ-ლიტერატურული ტექტების სათაურების თარგმნის სირთულები

**თეზისები:** მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმანი ურთულესი შემოქმედებითი პროცესია, რადგან ერთი მხრივ, იგი თავად ავტორის იდეებს, შეხედულებებს წარმოაჩენს, მეორე მხრივ – მთარგმნელისას. ხშირად, სათაური თარგმანის პროცესის დასრულების შემდეგ შეირჩევა. სათაურში შეიძლება ნაწარმოების ძირითადი თემა, მთავარი ან მეორეხარისხოვანი პერსონაჟები იყოს მოხსენიებული; იგი მეტაფორული ხასიათის შეიძლება იყოს ან იუმორისტული. სათარგმნ ენაზე გადატანისას, ტექსტის და სათაურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთარგმნელი სათარგმნი ტექსტის სათაურის ერთგული რჩება ან სათაურის ნაწილობრივ, ხან კი სრულად შეცვლა უწევს.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გვსურს გავამახვილოთ რამდენიმე ფრანგულენოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაურების ქართულ თარგმანზე და ვიმსჯელოთ მათი შერჩევის მართებულობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** თარგმანი, მხატვრული ლიტერატურა, სათაური

**Abstract:** Translation of artistic and literary text titles is a difficult creative process, because on one hand, it expresses the author's ideas, views, and on the other, the translator's views. Often, the title is selected after the translation process is complete. The title may include the main theme of the work, the main or secondary characters; It can be either metaphorical or humorous in translating language, depending on the specificity of the text and title, the

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

translator remains committed to the text title or partially or sometimes completely changes the subject.

In the present article , we draw attention to the Georgian translation of several French-language literary texts and show the appropriateness of their selection.

**Keywords:** translation, literary text, title

მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმანი ურთულესი შემოქმედებითი პროცესია, რადგან, ერთი მხრივ, იგი თავად ავტორის ჩანაფიქრს, იდეებს, შეხედულებებს წარმოაჩენს, მეორე მხრივ – მთარგმნელისას. ქართული მთარგმნელობითი სკოლის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული გახდა გარდამტეხი ფრანგულიდან ქართულად თარგმნის საქმეში: გარდა რიცხობრივი მაჩვენებლებისა, გამრავალფეროვანდა თარგმნილი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების უანრი და სტილი. მთარგმნელებმა მოახერხეს და ქართულ-ფრანგულ კულტურათა დიალოგში ახალი ფურცელი ჩაწერეს.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება მსურს გავამახვილო რამდენიმე ფრანგულენოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაურების ქართულ თარგმანზე და ვიმსჯელო მათი შერჩევის მართებულობაზე.

ტექსტის თარგმანზე არანაკლებ ნიშვნელოვანია სათაურის თარგმანი. ტექსტების სათაურში შეიძლება აისახოს ძირითადი თემა ან პროტაგონისტი; სათაური შეიძლება იყოს მეტაფორული, მეტონიმური (მეორეხარისხოვან პერსონაჟების მორგებული), ირონიული და ტექსტის ფორმის გამომხატველი. თარგმნისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს სათარგმნი ტექსტის სათაურის ზემოაღნიშნული მახასიათებლები.

მწერლის მიერ ნაწარმოების სათაურის არჩევა რთული შემოქმედებითი პროცესის ნაწილია, შესაბამისად, სათაურის თარგმნა მთარგმნელისთვისაც არანაკლებ თავსატეხს ქმნის, შეიძლება ითქვას, ორმაგსაც, რადგან გასათვალისწინებელია ავტორის ჩანაფიქრი და სათარგმნის ენობრივი ასპექტი.

ავლევისთვის ავარჩიე რამდენიმე თარგმნილი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაური. აღნიშნული ნაწარმოებები უკვე გამოიცა და მკითხველის სიყვარულიც დაიმსახურა, მაგალითად – ამელი ნოტომის კრძალვითა და ცანცახით. ორიგინალი 1999 წელს შეიქმნა და მალევე ითარგმნა ქართულად მზია ბაქრაძის მიერ. თარგმანი გამოიცა 2005 წელს. კრძალვითა და ცანცახით ფრანგულ ვერსაში უბრალოდ „კრძალვა და ცანცახი“ (*Stupeur et tremblements*), უფრო უკეთ „კრძალვა და ცანცახები“. რასაკვირველია, ქართული

ენისთვის უცხოა ამ არსებითი სახელის მრავლობითი ფორმა. სათაურის გადმოქართულებულ ვარინიტში არსებითი სახელები მოქმედებით ბრუნვაშია, ნაცვლად სახელობითია. ამ პატარა ცვლილების შედეგად, თარგმანი უფრო ექსპესიული გახდა. მთარგმნელს სახელობითი ბრუნვა რომ დაეტოვებინა, მკითხველი სამეცნიერო-ფსიქოლოგიურ ტექსტზე იფიქრებდა. სათაურის არსებულ ვარინტში მკითხველი თითქოს მიადევნებს თვალყურს ადამიანის ქმედებას და ცდილობს, ამოიცნოს, რა იწვევს ამ უკანასკნელში შიშისა და ცახცახს. მართლაც, ნაწარმოების პროტაგონისტს, გარეგნულად უმოქმედოს და შინაგად მშფოთვარეს, კრძალვითა და ცახცახით უწევს ცხოვრებას მისთვის უცხო გარემოში. სათაურის არსებული თარგმანი ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი თავის ინტუიციას მიენდო და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო, თუმცა, სიტყვას – „კრძალვა“, შევედავებოდი. „stupor“ „კრძლვას“ არ ნიშნავს: ქართულად იგი „გაოგნებაა“, „გაშეშება“, „გაყუჩება“, „გარინდვა“, „განაბვა“, „გაშტერებაა“. სიტყვა «stupor» ისეთ მდგომარეობას გამოხატავს, როდესაც ობიექტი უძრავადაა გაოგნებისგან, სიტყვის წარმოთქმის უნარიც დაკარგული აქვს. ფრანგული ორიგინალის სათაურში ჩანს ერთი მხრივ უძრაობა («stupor»), მეორი მხრივ – მოძრაობა («tremblement»). ნაწარმოების სათაურის რუსული ვერსიაა *Ctвrah и tpeпem* (შიში და ცახცახი), მეორე ვერსიითაა: *Дроjкъ и oцепенение* (ცახცახი და გაოგნება). საინტერესოა, რომ რუსული სათაურის თარგმანის პირველი ვერსია იდენტურია სიორენ კირკეგორის ფუნდამენტური ნაშრომის სათაურისა – შიში და ძრწოლა. კირკეგორის ტრაქტატის სათაური ბიბლიიდანაა აღებული (ბიბლია, კორინთელთა მიმართ, თავი 1:2:3, ფილიპინელთა მიმართ, 12:12, ებრაელთა მიმართ, 12:21, 1135, 1167, 1195)<sup>1</sup>. ნოტომის რომანის რუსულენოვანი თარგმანის ავტორების გადაწყვეტილება საორქოფოა,<sup>2</sup> რადგან ნოტომის რომანის ფრანგული სათაური მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა კირკეგორის ნაშრომის სათაურის ფრანგულ თარგმანს (*Stupeur et tremblements*

1. კირკეგორის ტრაქტატის სათაური ზედმიწევნით სწორადაა თარგმნილი: „და ვიყავი თქვენთან უძლურებასა, შიშისა და საშინელ ძრწოლვაში“ „ამრიგად, საყვარელნო ჩემნო, როგორც ყოველთვის მორჩილნი იყავთ, არა მარტო მაშინ, როცა გვერდით გყავდით, არამედ, მით უმეტეს, ახლა, ჩემი არყოფნის ჟამს, – შიშით და ძრწოლვით აღასრულეთ თქვენი ხსნის საქმე“; „და ისე საშინელი იყო ეს ხილვა, რომ მოსემაც თქვა: შეშინებული ვარ და შეძრწუნებული.“

2. ნოტომის რომანის რუსულენოვანი ვერსიის მთარგმნელები არიან ი. პოპოვი და ნ. პოპოვა.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

(ნოტომი)/*Crainte et tremblement* (კირკეგორი)<sup>3</sup>. ორი სიტყვა ნოტომის რომანის სათაურში მოძრაობის და უძრაობის დაპირისპირებას ქმნის, რაც აღარ ამოიკითხება ქართულ და პირველ რუსულ თარგმანში, შესაბამისად, იყარგება სათაურში არსებული ბინარული ოპოზიციის ეფექტი. ფრანგული აკადემიის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი ეს რომანი ადრიანა ჰანტერის მიერ 2001 წელს ითარგმნა ინგლისურად, როგორც *Fear and Trembling* (შიში და ძრწოლვა). „შიში“ ან „საფრთხე“ („fear“)<sup>4</sup> გულისხმობს გარინდებას (მაგალითად, „შიშისგან გაშეშება“). ფრანგული რომანის სათაურის ინგლისური ვერსია ორიგინალის ერთგულია ისევე, როგორც ესპანური თარგმანი *Stupor y temblores*.

ამელი ნოტომის მეორე რომანის სათაურია *Ni d'Eve ni d'Adam*. წიგნი 2007 წელს გამოიცა. ქართულად 2015 წელს ითარგმნა გორგი ძნელაძეს მიერ, სათაურით – არც ევა და არც ადამი. სათაური სიტყვა-სიტყვით რომც გადმოტანილიყო, თარგმანი უნდა ყოფილი „არც ევასი და არც ადამისა“. მაგრამ ფრანგულ ენაში «ni d'Eve ni d'Adam» იდიომაა და გულისხმობს „უცნობს“, „უცხოს“, „გარეშეს“<sup>5</sup>. მთარგმნელს სათაურში პირდაპირი მნიშვნელობის უგულებელყოფა დასჭირდა. სახელობით ბრუნვაში ჩასმული საკუთარი სახელები „ევა“ და „ადამი“, უარყოფითი ნაწილაკის „არც“ დამატებით, ქართველ მკითხველში იწყვევს უცხოს, უცნობის ასოციაციას, დაახლოებით იგივეს, რასაც ორიგინალის იდიომატიური გამონათქვამი გულისხმობს.

ამელი ნოტომის მესამე რომანის სათაურია *Tuer le père*. წიგნი გამოქვეყნდა 2011 წელს და მალევე, 2012 წელს გამოიცა ტექსტის ქართული ვერსია. სათაური კარგად ითარგმნება რუსულად – უცის ითუა. საქართველოში ძალიან პოპულარული ამელი ნოტომის კიდევ ერთი რომანის სათაური გაუგებარი და სრულად მიუღებელი იქნებოდა ქართულად სიტყვა-სიტყვით რომ გადმოტანილი – „მამის კვლა“. რომანის ქართულად მთარგმნელმა, მერაბ ფიფიამ შეცვალა ზმნის ფორმა და კილო: მან გამოიყენა ბრძანებითი ფორმა, რითაც თარგმანმა შეიძინა პირადული ასპექტი და დაიკარგა განზოგადებული ხასიათი, რომელიც სათაურის პირდაპირი თარგმანის შემთხვევაში შეიქმნებოდა. ბრძანებით კილოში ჩასმული მოკალი მამა უკეთ გადმოსცემს იმ

3. Søren Kierkegaard, *Crainte et tremblement*, იოხანეს დე სილენციოს ლირიკულ-დიალექტიკური ტრაქტატი გამოიცა ფსევდონიმით 1843 წელს. ფრანგულად ითარგმნა პოლ-ანრი ტისოს მიერ და დაიბეჭდა ფერნა ობიეს გამომცემლობაში „მონტენი“ 1953 წელს.

4. «Fear» – 1. „შიში“, „საშიშროება“; 2. „საფრთხე“, „ხიფათი“, „განსაცდელი“.

5. Ne pas connaître, qqun en aucune façon, ne pas connaître depuis longtemps, ne pas connaître du tout synonyme – «inconnu».

გზავნილს, რაც დევს ფრანგული ორიგინალის სათაურში – „შინაგანი კომპლექსების ფსიქოანალიზს.“

წარმოშობით ჩეხი მწერლის, მილან კუნდერას შეუცნობელი, რომანია ნოსტალგიის შესახებ, რომლის პროტაგონისტი ქალი (ირენი), ქალი-ულისეა. რომანი დაწერა ფრანგულად და გამოიცა 2003 წელს. ეს კუნდერას მესამე ტექსტია, რომელიც ფრანგულად შეიქმნა. პირველად წიგნი ბარსელონაში ესაპანურად გამოქვეყნდა. ორიგინალის სათაურია *L'ignorance*, რუსულად – *Неведение*. ქართველმა მთარგნელმა, ნანა იაშვილმა სათაური სხვაგვარად თარგმნა – შეუცნობელი. ორიგინალის სათაური შეიძლება ითარგმნოს როგორც „არცოდნა“, „უცოდინარობა“, „უმეცრება“, „უგულებელყოფა“. ქართული თარგმანის მიხედვით კი საქმე შეცნობასთან, უფრო უკეთ – შუცნობელთან გვაქს, შეუსწავლელთან, რისი შესწავლა შეუძლებელია, მაგალითად სხვისი შეცდომებით, გამოცდილებით ცხოვრების შესწავლა და შემეცნება შეუძლებელია, რადგან ყოველ ჯერზე, ყველა ადამიანს თავისი გრძნობა და ნოსტალგია აქვს; ადამიანი ხომ განუმეორებელია, რაც არ უნდა ნოსტალგიას მავანი იზიარებდეს და ეს შეგრძნება ბევრისთვის ნაცნობი იყოს. ვფიქრობ, მთარგმნელი სწორად მოიქცა და გადმოიტანა განცდა, რომელსაც აღძრავს ორიგინალის სათაური, რადგან სამშობლოში დაბრუნება ისეთივე ტკივილია, როგორც ის შეგრძნება, რომელიც ნოსტალგიას მოაქვს.

აქვე შევხები კუნდერას კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე გახმაურებული რომანის სათაურს – ყოფის აუტანელი სიმსუბუქე. რომანი 1984 წელს გამოიცა<sup>6</sup>. ორიგინალის სათაურია *Nesnesitelná lehkost bytí*, რუსულ თარგმანში – *Невыносимая легкость бытия, или незнаемое счастье* – *The Unbearable lightness of Being*, „არსებობის აუტანელი („გაუსაძლისი“) სიმსუბუქე“.

სათაურის ქართულ ვერსიაში ორი სიტყვა იპყრობს ყურადღებას: „ყოფა“ და „აუტანელი“. სიტყვა „ყოფა“ ლექსიკონში ახსნილია როგორც „გარემოება“ და „არსებობა“, „ყოფა“, „ყოფობის ქმნა“. „ყოფა“ უკავშირდება ყოველდღიურობას, მატერიალურ ღირებულებებს. „ყოფიერება“ ფილოსოფიურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც უზოგადესი და აბსტრაქტული ცნება, რომელიც მოიაზრებს ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებულ სამყაროს, როდესაც ცნობიერება აქტიური ძალაა და ზემოქმედებს ყოფიერებაზე.

6. სტატიაში განვიხილავ ფრანგულენვან მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურებს. წარმომავლობით ჩეხი მილან კუნდერა ფრანგ მწერლად მოიაზრება, სწორედ ამიტომ მისი ეს რომანი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ჩეხურად დაწერა, ნაშრომში ჩართულია. ჩეხურიდან ქართულად ტექსტი სულხან მუხივულაშვილმა თარგმნა.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

ეს უკანასკნელი გასხვავდება რეალობისგან, არსებობისგან და სინამდვილისგან – ობიექტური პროცესების და მოვლენების კონკრეტული მახასიათებლებისგან. შესაბამისად, „ყოფა“ კი მხოლოდ ობიექტურ რეალობას და მისადმი ინდივიდის (მასის) დამოკიდებულებას მოიცავს. კუნდერას რომანში უმრავლესობის რეალობა მიუღებელი და გაუსაძლისი ხდება კონკრეტული ინდივიდებისთვის.

„გაუსაძლისი“ სინონიმია „აუტანლისა“, „შეუწყნარებლის“ და „აბეზარისა“. რომანის სიუჟეტს თუ მივიღებთ მხედველობაში, ადვილად ამოვიცნობთ, რომ საქმე გვაქვს „გაძლება-ვერგაძლებასთან“ და არა „ატანა-ვერატანასთან“, რასაც უფრო ზედაპირული შეგრძნებები იწყვევს. ანტითება – „გაუსაძლისი სიმსუბუქე“, ბევრად უფრო უღერადი და მრავლსმომცველია, ვიდრე ერთპლასტიანია „აუტანელი სიმსუბუქე.“ „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ უფრო ირონიულ დამოკიდებულებას იწყვევს, ვიდრე ტრაგიზმით სავსე „ყოფიერების გაუსაძლისი სიმსუბუქე“. ამ მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის იდეაც ხომ ამაშია, რომ ყველაფრის მიუხედავად, ნაწარმობის პერსონაჟებს ყოფიერების გაძლება უწევთ და ამას კი გარკვეული, სხვათა განსასჯელი, გამიზნული სიმსუბუქით აღწევენ, რაც ზღვრის გადალახვას და არსებული რეალობის მიუღებლობას ნიშნავს. ისინი თავისი ქმედებით ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ ბანაკში გამეფებულ ეთადერთ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედითაც საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს ადამიანთა ცნობიერებას, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებს ეს საზოგადოება ადამიანთა ცხოვრებაში, მათ ბედუკულმართობასა თუ წარმატებაში.

თვალის მოსატყუებელი სიმსუბუქე მართლაც გაუსაძლისია. სიტყვა „ყოფიერება“ იმდენად ჰარმონიულად ერწყმის „სიმსუბუქეს“, რომ მკითხველი თავად მოითხოვს სათაურში იყოს „ყოფიერება“ და არა „ყოფა“<sup>7</sup>. კუნდერა, რასაკვირეველია ყოვლდღიურობის პრობლემებზეც წერს, ყოფზე, არსებობაზე, რომლის „სიმსუბუქეც“ ყველას შეგვხებია და რომელთანაც გამკლავება ხშირად რუტინულ საქმედ იქცევა. კუნდერას რომანი ფილოსოფიის ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა, იმ სევდაზე, რომელიც ადამიანს თან სდევს, სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, სათაურში უნდა ყოფილიყო „ყოფიერება“ და არა „ყოფა“.

7. სოციალურ ქსელებში კუნდერას ამ რომანის სათაური ხშირად შეცდომითაა მოყვანილი: ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე და არა ყოფის აუტანელი სიმსუბუქე. ისიც საინტერესოა, რომ ზოგ საიტზე რომანთან დაკავშირებულ საკვანძო სიტყვებად მოხსენიებულია „ყოველდღიურობა“ და „ყოფა“.

უან-მარი გუსტავ ლე კლებიოს წიგნი მონდო და სხვა მოთხრობები ითარგმნა და გამოიცა 2016 წელს (გამომცემლობა „ელფი“). მთარგმნელები: მანანა ცინცაძე და დოდო ყვავილაშვილი. ორიგინალის სათაურია *Mondo et les autres histoires* (1978). როგორც ზევით აღვნიშნე, სათაური შეიძლება იყოს შინაარსიდან გამომდინარე და ამასთანავე ფორმისმიერიც. ლე კლებიოს ამ ნაწარმოებთან მიმართებაში ამის თქმა ბოლომდე არ შეიძლება, რადგან ავტორს რომ სდომნოდა, თავად აარჩევდა სათაურს «Mondo et les autres récits». სიტყვა «récit» („მოთხრობა“) გამოიყენება სიტყვის «histoire» („ამბავი“) ნაცვლად<sup>8</sup>. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში შესულია რამდენიმე დამოუკიდებლადაც გამოცემული მოთხრობა, მათ ერთი ძირითადი ხაზი აერთიანებს: ბავშვების თვალით დანახული სამყარო. ვფიქრობ, თარგმანის სათაური შეიძლება ყოფილიყო „მონდო და სხვათა ამბები“, რაც კრებულულში გაერთიანებული ტექსტების ერთიანობაზე მიუთითებდა და ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისითაც გამართლებული იქნებოდა.

იგივე, ანუ ლიტერატურული გემოვნების და ალლოს კი არა, არამედ ლიტერატურის თეორიის საკითხს ეხება კიდევ ერთი ფრანგულენოვანი კრებულის სათაურის თარგმანი – თეოფილ გოტიეს *Contes (et récits) fantastiques* – ფანტასტიკური მოთხრობები. თეოფილ გოტიემ იდუმალებით მოცული სიუჟეტების მქონე და საინტერესო, ნოველისთვის დამახასიათებელი მოულოდნელი დასასრულის მქონე ტექსტებს „ზღაპრები“ შეარქვა. ლიტერატურულ კრიტიკაში ზოგიერთ ტექსტს ნოველებს უწოდებენ, ზოგიერთს – ზღაპრებს. გოტიეს ეს მხატვულ-ლიტერატურული ტექსტები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კრებულში თუ გამოცემაში ქვეყნდებოდა (1833 წლიდან 1881 წლამდე). გოტიეს შეეძლო ამ ტექსტებისთვის „მოთხრობები“ დაერქმია. სათაურში გამოიყენებული სიტყვა „ზღაპრები“ ავტორის გააზრებული გადაწყვეტილება უნდა იყოს, რადგან ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით „ფანტასიური ზღაპარი“ ნონსენსია – ზღაპარი ისედაც ფანტასიურის ქვეუანრია. შესაძლოა, ცენზურის ზეწოლით, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კრძალავდა ისეთი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების გამოქვეყნებას, რომელთა სიუჟეტი რეალობას არ ასახავდა; შესაძლოა, ტრადიციის ან კიდევ რომანტიზმის ესთეტიკის გავლენით, გოტიემ სხვა სიტყვებს „ზღაპარი“ არჩია და თითქოს რეალობის ეფექტის შექმნის „პასუხისმგებლობა მოიხსნა“. ქართველი მთარგმენლის, ნესტან იორდანიშვილის არჩევანი კარგი გამოსავალი აღმოჩნდა, რადგან, ერთი მხრივ, თავად ფრანგი მწერალი

8. ლიტერატურის თეორიაში ეს ორი სიტყვა «récit» („მოთხრობა“, ლიტერატურული უანრი) და «histoire» („ამბავი“) ერთმანეთისგან გამიჯნული ცნებებია.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

(და კრიტიკაც) განსხვავებულად მოიხსენიებს ტექსტებს (ნოველა, ზღაპარი)<sup>9</sup>; მეორე მხრივ, ქართულად „მოთხობა“ მომდინარეობს სიტყვიდან „თხრობა“ ზუსტად ისევე, როგორც ფრანგული სიტყვა «conte» („ზღაპარი“) სიტყვიდან – «conter», რაც „თხრობას“ ნიშნავს<sup>10</sup>.

პასკალ კინიარის საოცრად ლამაზი ტექსტი *Le nom sur le bout de la langue* – ენაზე მომდგარი სახელი, მოგვითხრობს შეყვარებულებზე, რომლებმაც თავანთი სიყვარულით ერთამნეთი გადაარჩინეს. ძალიან პოეტური ქართული თარგმანი გამოიცა 2014 წელს (მთარგმნელი გურანდა დათაშვილი). ზღაპრის სახით დაწერილი ტექსტის სიუჟეტური ქარგა იმაზეა აგებული, რომ კოლბრუნმა ჯადოქრისტვის მიცემული პირობა დარღვია: მას დაავიწყდა ჯადოქრის სახელი, რომლის დამახსოვრება ჯადოქრის კლანქებიდან დახსნის საშუალება იქნებოდა – კოლბრუნი ვერ იხსენებს სახელს. სახელი „ენაზე მომდგარი“ კი არაა, რაც მიზებთა გამო თქმისგან თავშეკავებას გულისხმობს, არამედ „ენის წვერზეა“, როდესაც სათქმელი არ გახსოვს.

მარტენ პაუის სადებიუტო რომანი *Comment je suis devenu stupide* – როგორ გავხდი იდიოტი გამოიცა 2000 წელს. მთარგმნელი მაია ქაცანაშვილი. სიტყვა „იდიოტი“ სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს „იდიოტით შეპყრობილ ადამიანს“, „გონებაჩლუნგს“. სალაპარაკო ენაში სიტყვა „იდიოტი“ „სულელის“, „ყეყეჩის“, მნიშვნელობით იხმერება. ფრანგ ავტორს თავისუფლად შეეძლო ეს სიტყვა წიგნის სათაურში გამოეყენებინა. ნაწარმოების სათაურის ქართულ ვერსიაში დოსტოევსკის რომანის ალუზის ამოცნობა შეიძლება<sup>11</sup>. ქართულ ენაში „სულელის“ ბევრი სინონიმი არებობს<sup>12</sup>. თუმცა, წიგნის სათაურად ყველა სიტყვა არ გამოდგება. „როგორ გავსულელდი“ გრამატიკუად სწორი ფორმაა, მაგრამ „როგორ გავხდი სულელი“, მეტად შეესაბამება ტექსტი. პირველ შემთხვევაში, სათაური („გავსულელდი“) ორიენტირებული

- 
9. ნოველებად მოხსენიებულია ქართულ გამოცემაში შესული 1839 წლის კრებულის (*Une Larme du diable / ეშმაკის* (ერთი) ცრემლი) შემდეგი ტექსტები: შეყვარებული მკვდარი, ომფალე, ბულბულის ბუდე; 1852 წლის კრებულში (*La Peau du tigre / ველხის ტყავი*) გამოცემული ყავადანი, ჩიბუზი ოპიუმი, ორი მსახიობი ერთ როლში, არია მარცელა, მუმიის ფეხი; 1863 წელს გამოქვეყნდა კრებული ნიშანდობლივი სათაურით – რომანები და ზღაპრები (*Romans et contes*), სადაც დაიბეჭდა ნოველა ორმაგი მხედარი.
  10. თეოფილ გოტიეს კრებული ქართულად გამოიცა 2016 წელს.
  11. სოციალურ ქსელებში ეს ალუზია სხვა მკითხველებსაც გაუჩინდათ.
  12. სიტყვის „სულელი“ ორმოცდაათამდე სინონიმი არსებობს, მათ შორის: „ყეყეჩი“, „ლენჩი“, „აბუეტი“, „გამოყრუებული“, „ცეტი“, „ჩერჩეტი“, „ბენტერა“, „რეგვენი“, „ტუტუცი“, „ჭკუასუსტი“, „ჭკუამოკლე“, „უტვინო“, „ხევრია“, „გამოტვინებული“, „ღვთის გლახა“, „სალოის“ . . .

იქნებოდა შედეგზე იმ დროს, როდესაც „როგორ გავხდი სულელი“ – პროცესს მიანიჭებდა უპირატესობას. სხვათა შორის, ნაწარმოებში მოთხოვილი ამბავი პირიქით, პროფაგონისტის „გამოფხიზლებაზე“ მოგვითხრობს, ანუ – პროცესზე. შესაძლოა, მთარგმნელი ეყრდნობოდა ტექსტში მოთხოვილ ეპიზოდს, სადაც ანტუანი – ნაწარმოების პროფაგონისტი, მეგობარ ექიმს ქირურგიული ჩარევით უგრძნობ არსებად გადაკეთებას სთხოვს. ვფიქრობ, ქართულ ვერსიაში „სულელი“ ან ამ სიტყვის სინონიმი უნდა გამოყენებულიყო.

მსოფლიოში ცნობილი *Le Petit Prince* ქართულად ბევრჯერ ითარგმნა: ზოგჯერ როგორც პატარა უფლისწული, ზოგჯერ როგორც – პატარა პრინცი<sup>13</sup>. ორივე შემთხვევაში თარგმანი გამართლებულია. მავანი ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ტექსტში ბიბლიურ რემინისცენციებს ხედავს. საოცრად მეტყველი ქართული სიტყვა – „უფლისწული“ ზღაპრებთან კავშირსაც უსვამს ხაზს და ბიბლიური ალუზიების შექმნასაც უწყობს ხელს. სამაგიეროდ, „პატარა პრინცი“ უღერად ასოციაციას ქმნის ორიგინალის სათაურთან. გარდა ამისა, «prince» ქართულად მხოლოდ ტახტის მემკვიდრეს კი არ ნიშნავს, არამედ სამეფო გვარის ნებისმიერი წარმომადგენლის ტიტულია, რომელიც ყველა კულტურაში სხვადასხვაა და ხშირად არასწორად ითარგმნება.

კიდევ ერთი მიშვნელოვანი ტექსტის სათაურს შევეხები: ვიქტორ ჰიუგოს *Les Misérables* – საბრალონი. ტექსტი გასული საუკუნის პირველ ნახევარში ითარგმნა, მაგრამ მის მიმართ ინტერესი დღესაც დიდია<sup>14</sup>. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ელექტრონულ საცავში ინახება შ. რევიშვილის წინასიტყვაობით გამოქვეყნებული წიგნი, რომლის გამოცემის თარიღია 1963 წელი. მთარგმნელი ივანე მაჭავარიანია<sup>15</sup>. ძნელია ღვაწლმოსილი მთარგმნელის, მრავალი ტექსტის თარგმანის ავტორის არჩევანის ეჭვევეშ დაყენება, თუმცა საინტერესოა სხვადასხვა ენაზე თარგმნილი სათაურების შედარება<sup>16</sup>.

ნაწარმოების შექმნის ისტორია პათეტიკას მოკლებულია: ვიქტორ ჰიუგომ წიგნის წერა 1845 წელს დაიწყო, როდესაც საფრანგეთის

13. პატარა უფლისწული – ამ სათაურით ფრანგული ტექსტი თრაგმნებ ბაჩანა ბრეგვაძემ, გიორგი ჩიმაკაძემ, ეკატერინე მაჩიტაძემ . . . პატარა პრინცის სახელწოდებით ტექსტი თარგმნეს გიორგი ეკიზაშვილმა და მერაბ ფიფიამ.

14. შექმნილია 18 კინოვერსია, მათ შორის – მიუზიკლიც.

15. ივანე მაჭავარიანი (1863-1943 წწ) – ქართველი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. ალექსანდრე დიუმას, დენი დიდროს, მოლიერის, მაქსიმ გორკის, იპოლიტ ტენის . . . მთარგმნელი.

16. უნდა ითქვას, რომ წინამდებარე სტატიაში მოყვანილი სათაურის მაგალითები მხოლოდ მსჯელობის საგანია და არა საბოლოო, უტყუარი ვარიანტები.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

პერი, ვინმე ლეონი ბიართან კავშირის გამო ატეხილ ხმაურს განერიდა. შემორჩენილია ჰიუგოს მომავალი წიგნის გეგმის ჩანაწერი: „ამბავი წმინდანისა. ამბავი კაცისა. ამბავი ქალისა. თოჯინას ამბავი“. საგულისხმო სწორედ გეგმის დასაწყისია: „ამბავი წმინდანისა“. სწორედ ამიტომ, ამ მნიშვნელოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაურის ბიბლიასთან დაკავშირებას ვცდილობ, მით უფრო, რომ ნაწარმოების პროტაგონისტის საუცხოო გარდასახვის მიზეზად სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანის, ეპისკოპოსი მირიელის სიქველე იქცა. უცნობია, რამდენად უკავშირებდა ფრანგი მწერალი ნაწარმოების სათაურს ბიბლიას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მნიშვნელოვანი ლიტერატურული პროცესების მომსწრე და მონაწილე ვიქტორ ჰიუგოსთვის უცხო არ იყო რომანტიზმის ესთეტიკა, რომლის პროგრამაც ქრისტიანობის ახლებურ გააზრებასაც მოიცავდა და რწმენას „რევოლუციური ქაოსიდან“ გამოსვლის საშუალებად მოიაზრებდა. შესაბამისად, ფრანგი მწერლის გეგმა, რომანტიზმის გავლენა და ნაწარმოების სიუჟეტი სათაურის ბიბლიასთან დაკავშირების საფუძვლიან მიზეზს იძლევა<sup>17</sup>.

სამწუხაროდ, ვერ დავადგინე როდის ითარგმნა ქართულად ვიქტორ ჰიუგოს ტექსტი, თარგმანი 1963 წელზე ბევრად ადრეა შესრულებული, რადგან ივანე მაჭავარიანი 1946 წელს გარდაიცვალა. თარგმანის გამოცემის თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: თუ ტექსტი საბჭოურ პერიოდშია თარგმნილი, მაშინ ნაწილობრივ მაინც გასაგებია, რატომ არ მიექცა სათანადო უურადლება სათაურს და რატომ არ დაუკავშირდა სათაური ბიბლიას<sup>18</sup>.

ჰიუგოს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის რუსული თარგმანის სათაურია *Отверженные*. რომანის ეკრანიზაციის სათაური ზოგან უარყოფილნია, ზოგან კი რუსული ვერსიის ანალოგი – განკიცხულნი<sup>19</sup>.

17. გადმოცემის თანახმად, ამ ეროვნული რომანის სათაური ჰიუგოს მრგვალმა მაგიდამ აპოვნინა. სპირიტუალური სეანსის დროს, როდესაც პარაფსიგოლოგთან ერთად ჰიუგო ცდილობდა გარდაცვლილ ქალიშვილთან კავშირის დამყარებას. მრგვალი მაგიდის დარტყმების რაოდენობა ალფაგოტის ასოებს შესაბამება, თითოეული დარტყმა სიტყვებს და წინადადებებს ქმნის. 1853 წლის 15 სექტემბერს, 19 საათსა და 30 წუთხე მაგიდამ სწორედ ეს სიტყვა, «misérable» უკარნახა მწერალს.

18. ვგულისხმობ ბიბლიური რემინისცენციების არსებობას ნაწარმობის სათაურში.

19. სოციალურ ქსელებში ფილმის და წიგნის სათაურებს შორის განსხვავებას მსჯელობა მოჰყვა. ვფიქრობ, ეს წარსულში უნიფიცირებული და ცენტრალიზებული ცისფერი ეკრანების და დღეს არსებული ერთიანი მედია სივრცის გვალენის შედეგია. ფილმის სათაურის რუსული ვერსია ემთხვევა წიგნის სათაურს.

წიგნის რუსული ვერსიის სათაურიც ბიბლიას, კერძოდ იობის წიგნს უკავშირდება: «Люди отверженные, люди без имени, отребье земли!» (Библия, Иов 30). იობის წიგნის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ადამიანთაგან აძევებენ და როგორც ქურდებს, ისე მიჰყვებიან (იობი 30:5); „არამზადებივით, უგვანო ბრბოსავით განიდევნენ ქვეყნიდან (ბიბლია 488) და კიდევ, ინტერნეტვერსიაში: „გარიყულები იყვნენ საზოგადოებიდან და ხალხი ისე უყვიროდა მათ, როგორც ქურდებს“ (იობის წიგნი 30:5) და იქვე: „უგუნურისა და უსახელოს ძეები შოლტით არიან განდევნილნი ქვეყნიდან“ (იობის წიგნი 30:8). შესაბამისად, რუსულიდან თარგმნისას, ჰიუგოს რომანის ან მისი ეკრანიზაციის სათაური შეიძლება იყოს „გარიყულნი“ და არა „განკიცხულნი“ ან „უარყოფილნი“.

სიტყვა «misérable» გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რაც შებრალებას, სიბრალულს იწვევს<sup>20</sup>. ამ სიტყვას ვხვდებით 22-ე, 72-ე, 82-ე, 102-ე, 69-ე ფსალმუნებში, იერემიასთან, ამოსში, აპოკალიფსისში, რომალთა და კორინთელთა მიმართ. ისიც ყურადსალებია, რომ ბიბლიაში სიტყვა «misérable» როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტშია ნახმარი<sup>21</sup>. მაგალითად, 71-ე (72) ფსალმუნის ფრანგულ ვერსიაში სიტყვა «misérable» ქართულად თარგმნილია როგორც „ლარიბი“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები 597)<sup>22</sup>; ხოლო 21 (22)-ე ფსალმუნში ითარგმნა როგორც „გლახაკი“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები 543)<sup>23</sup>. სიტყვა «misérable» უარყოფით კონტექსტში გამოიყენება მათეს

20. «Misérable» – dont l'état, le sort inspire la pitié: impécunieux, indigent, infortuné, malheureux, miséreux /რომლის მდგომარეობა სიბრალულს იწვევს: უბედური, უპოვარი, გაუბედურებული . . .

21. მაგალითები ამოღებულია ლუი სეგონის თარგმანიდან, რომელიც შესრულებულია ბიბლიის ებრაული და ბერძნული ვერსიებიდან 1874-80 წლებში.

22. «Il aura pitié du misérable et de l'indigent, Et il sauvera la vie des pauvres» / „რადგან იხსნის ღარიბს, მღაღადებელს და ღატაკს, რადგანაც არა ჰყავს შემწე“.

23. ლუის სეგონის მიერ თარგმნილ ბიბლიაში სიტყვა «misérable»-ია გამოყენებული, სხვა თარგმანში – «pauvre»: «Car il n'a ni mépris ni dédain pour les peines du misérable, Et il ne lui cache point sa face; Mais il l'écoute quand il crie à lui». Il n'a ni mépris ni dédain pour le pauvre dans l'affliction, il n'a pas détourné son regard loin de lui. Non! il a écouté l'appel à l'aide qu'il lui lançait.» / „რადგან არ დაამცირა მან და არ უგულებელყო ტანჯვა გლახაკისა, და არ მოარიდა პირი თვისი, და უსმინა მას, როცა მოუხმოდა“. იგივე სიტყვა თარგმნილია, როგორც „ლარიბი“, „საწყალობელი“ სხვა ფრანგულ ვერსიაში: «Il n'a ni mépris ni dédain pour le pauvre dans l'affliction, il n'a pas détourné son regard loin de lui. Non! il a écouté l'appel à l'aide qu'il lui lançait.»

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

სახარების 21-ე თავში (ახალი აღთქმა და ფსალმუნები 597)<sup>24</sup>. ბიბლიის ლუთერის ვერსიაში, იგივე სიტყვა თარგმნილია როგორც „ბოროტები“ (მათე 21:41 47)<sup>25</sup>. იგივენაირად ითარგმნება ეს სიტყვა ბიბლიის ქართულ თარგმანში<sup>26</sup>. ბერძნულ ვერსიაში გამოყენებულია სიტყვა «kakos», რაც ითარგმნება როგორც „ბოროტი“, „ეშმაკი“, „ცუდი“ ფრანგული სიტყვის («misérable») მსგავსად<sup>27</sup>. ყურადსალებია, რომ ბიბლიის სხვადასხვა თარგმანი ერთმანეთს ზედმიწევნით არ იმეორებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰიუგოს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაურში სიტყვის „საბრალონი“, გამოყენება არც თუ ისე მართებულია, რადგან სათაური უნდა აღძრავდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ემოციებს. ამ თვალსაზრისით, რუსული სიტყვა «отверженные» თითქოს უფრო შეესატყვისება ორიგინალის ტექსტის სათაურს. თუ ჰიუგოს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის და ბიბლიის კავშირის ნაწარმობის სათაურში ასახვას სწორუპოვრად მივიჩნევთ, მართებული იქნებოდა სიტყვების – „გლახაკნი“ ან „უპოვარნი“, გამოყენება. სიტყვა „გლახაკნი“ გულისხმობს არა მარტო კეთილს და დაჩაგრულს, რომელიც სიბრალულს აღძრავს, არამედ სხვადასხვა ასპექტით მიუღებელ ადამიანს (სოციალური, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით), რაც უფრო მიესადაგება ჰიუგოს ნაწარმოების შინაარს (გავიხსენოთ: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა...“ (მათე 5:3)), თუმცა მათეს სახარების ლუი სევონისეულ ვერსიაში სიტყვა „გლახაკნი“ თარგმნილია სიტყვით «pauvre»<sup>28</sup>. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოროტი ისევე საწყალობელია და სიბრალულს იმსახურებს, როგორც ქველი ადამიანი, რომელსაც მრავალი უბედურება დაატყდა თავს და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეინარჩუნა ადამიანობა, როგორც უან ვალუანმა. შესაბრალისია ტენარდიე, რომელიც იწვევს მკითხველის სიბრალულს, რადგან ბოლომდე დაეცა და უავერიც, რომელმაც გაითავისა თავისი მარცხი. შესაძლოა, სწორედ ამ არგუმენტს ეყრდნობოდა ჰიუგოს ნაწარმოების მთარგმნელი, როდესაც სათაურს არჩევდა.

სათაურების თარგმანებში გამოვყოფი ისეთებს, რომლებიც მთარგმნელების „სითამამემ“ ქართველი მკითხველისთვის უფრო

24. «Ils lui répondirent: Il fera périr misérablement ces misérables, et il affermira la vigne à d'autres vigneron, qui lui en donneront le produit au temps de la récolte».

25. «Ils lui dirent: il les fera périr malheureusement comme des méchants, et louera sa vigne à d'autres vigneron, qui lui en rendront les fruits en leur saison».

26. „ამ ბოროტეულთ ბოროტად დახოცავს და ვენახს კი მევენახეებს გადასცემს, რომლებიც თავის დროზე მისცემენ ნაყოფს“.

27. «misérable» საერთოდ ითარგმნება როგორც: „ბოროტი, ცუდი, ეშმაკი / გeneralement traduit par: méchant, mal, mauvais, maux, malin.

28. «Heureux les pauvres en esprit, car le royaume des cieux est à eux.»

უღერადი და პოეტური გახადა, ვიდრე სიტყვა-სიტყვით თარგმნის შემთხვევაში იქნებოდა.

ალბერ კონის 1954 წელს გამოცემული წიგნი, სახელწოდებით – *Le livre de ma mère* – ქართველმა მთარგმნელმა, მარინე ჭილაშვილმა სწორად შეცვალა: დედაჩემი – ასეთი სათაურით დაიბეჭდა კონის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები. სიტყვა-სიტყვით თარგმანი („დადაჩემის წიგნი“) ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად მეტყველი იქნებოდა და დაიკარგებოდა ემოციური კავშირი ტექსტს და მკითხველს შორის.

ფრანსუა მორიაკის გარდასულ დღეთა ყრმა ქართულად დაიბეჭდა 2013 წელს, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ. ფრანგული ტექსტის სათაურია *Un adolescent d'autrefois*. სათაურის ქართულ ვერსიაში სიტყვა „un adolescent“ შეიძლებოდა თარგმნილიყო როგორც „მოზარდი“. მთარგმნლის, ნინო თურქესტანიშვილის მიერ სიტყვის – „ყრმა“ გამოყენებამ სათაურს პოეტურობა შესძინა და წარმოაჩინა არჩევანის გასაყარზე მდგარი ახალგარდის სახე, რომელსაც „გარდასულ დღეთა“ ნისლი აშორებს უკვე ღვაწლმოსილი მწერლისგან<sup>29</sup>.

თარგმანის თეორიის თვალსაზრისით, სათაურების ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დედანა და მიმღებ ენას შორის ეკვივალენტობა მიღწეულია. ზოგ შემთხვევაში, ნათარგმნი სათაური ფორმალური ეკვივალენტობის ნიმუშია, როცა მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით, ფორმისა და შინაარსის ზედმიწევნით თარგმნას ანიჭებს უპირატესობას, მაგალითად: ყოფის აუტანელი სიმსუბუქე, კრძალვითა და ცახცახით, საბრალონი, როგორ ვავხდი იდიოტი . . . ზოგი თარგმნილი სათაური დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპითაა შესრულებული, როდესაც თარგმნილის ძირითადი მახასიათებელი ბუნებრიობაა, რაც, ხშირად, ორიგინალის კულტურული ასპექტის უგულებელყოფას, პერიფრაზირებას მოითხოვს (მოკალი მამა, არც ევა და არც ადამი, დედაჩემი), ხოლო ეკვივალენტობას არამარტო ლინგვისტური, არამედ ესქტრალინგვისტური ფაქტორების გააბრება, ავტორის მიმართ დამოკიდებულება, მთარგმნელის კომპეტენცია განაპირობებს (მამულაშვილი-ბოტკოველი, ბიბლიური სიუჟეტების თარმნითი ტრანსფორმაციები 24). ყველა მოცემული სათაურის თარგმანი ორიგინალის ადეკვატურია.

მხატვრული თარგმანი ხელოსნობაცაა (გ წიბახაშვილი), ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედებაც (დ. ფანჯავიძე) და საკუთრივ შემოქმედებაც (გ. გაჩეჩილაძე, ბიბლიური სიუჟეტების თარმნითი ტრანსფორმაციები 16). სათაურის თარგმანიც თავად

29. ფრანსუა მორიაკმა ავტოგრაფიული ხასიათის ეს ტექსტი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1969 წელს გამოსცა.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

მთარგმნელის არჩევანი და მის მიერ გააზრებული, დასაბუთებული ვარიანტია: „სასიყვარულო საბოტაჟს“ (*Le Sabotage amoureux*), ფრანგულიდან ამელი ნოტომის ტექსტების პირველმა მთარგმნელმა, მანანა ბოსტონანშვილმა „შეყვარებულის ამხედრება“ არჩია.

თარგმნა გამოწვევაა, რომელიც დიდ შრომას მოითხოვს. ზოგჯერ, მთარგმნელის წინაშე ისეთი რთული ამოცანა დგება, რომლის გადაწყვეტაც შუძლებელიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, მთარგმნელი სრულიად განსხვავებულ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას, რაც სათარგმნ ენაზე მკითხველის მიერ თარგმნილი ტექსტის მხატრული ღირებულების აღქმას გააღვილებს. 2015 და 2017 წლებში ქართულ თარგმანებს კიდევ ერთი დიდი ფრანგი მწერლის ნაწარმობების თარგმანები შეემატა: მარსელ პრუსტის სვანის მხარეს (*Du côté de chez Swann*) და სოდომი და გომორი (*Sodome et Gomorrhe*)<sup>30</sup>. მკითხველი დაკარგული დროის ძიების (*À la recherche du temps perdu*) სხვა წიგნების გამოქვეყნებასაც ელოდება, თუმცა მთარგმნელები კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდებიან: როგორ უნდა ითარგმნოს პრუსტის ცელიბატური რომანის კიდევ ერთი ნაწილის საათაური – *À l'ombre des jeunes filles en fleurs* -, მით უფრო, რომ არსებობს რუსული ადეკვატური თარგმანი: *Под сенью девушки в цвету*. იმედი მაქს, წიგნების თაროებზე პრუსტის კიდევ ერთი შედევრის ქართულ თარგმანს უახლეს მომავალში ვიხილავთ.

### ბიბლიოგრაფია

ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკოლმი, 1992.

ბახტაძე, რატი, მისტერიები – „ფანტასტიკური მოთხრობები“ – თეოფილ გოტიე, RBmouseBlog, სექტემბერი 8, 2017 (ნახვა 29 იანვარი 2021).

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

თბილისის ფორუმი, თემატური, ლიტერატურა და ხელოვნება, კინემატოგრაფია, <https://forum.ge/?showtopic=34422894&f=&st=15&> (ნახვა 15 აგვისტო 2020).

ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1950.

მამულაშვილი-ბოტკოველი, მარინე, ბიბლიური სიუჟეტების თარგმნითი ტრანსფორმაციები ჯიბრან ხალილ-ჯიბრანის ნაწარმოებების ქართულ

30. სოციალურ ქსელებში პრუსტის რომანის პირველი წიგნის სათაურზე მსჯელობდნენ. ზოგი სთავაზობდა სათაურად „სვანის მიმართულებით“ მით უფრო, რომ უკვე არსებულ რუსულ თარგმანში ტექსტის სათაურია *По направлению к Свану*. სოფიო ბენდიაშვილმა პრუსტის ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ ორაზროვან სათაურს სწორი შესატყვისი მოუძებნა – სვანის მხარეს.

- თარგმანებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015 (ნახვა 30 იანვარი 2021).
- მკითხველის ბლოგი, <https://mkitxveli.wordpress.com/2013/05/26/kundera/> (ნახვა 15 ავსიტო 2020).
- ნეიმანი, ალექსანდრე, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1978.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ონ-ლაინ ლექსიკონები, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=49401> (ნახვა 15 ავსიტო 2020).
- ფილოსოფიური ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, საქართველოს სსრ მენიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1990
- BibLe en ligne, <https://saintebible.com/lsg/psalms> (ნახვა 16 ავსიტო 2020).
- Des expressions françaises décortiquées, <https://www.languefrancaise.net/Bob/27631> (ნახვა 17 ავსიტო 2020).
- Dupuis, Jérôme, *Les Misérables*, 150 ans et encore quelques secrets, L'EXPRESS, 02/02/2012, [https://www.lexpress.fr/culture/livre/10-choses-que-vous-ignorez-sur-les-miserables\\_1077437.html](https://www.lexpress.fr/culture/livre/10-choses-que-vous-ignorez-sur-les-miserables_1077437.html) (ნახვა 30 იანვარი 2021).
- Gautier, Théophile, *Contes fantastiques*, <https://gallica.bnf.fr/ark:/12148/bpt6k9942q>. image (ნახვა 10 ავსიტო 2020).
- La Bible du Semeur, <https://www.biblegateway.com /passage/?search =Psaumes +22&version BDS> (ნახვა 10 ავსიტო 2020).
- La signification de kakos, <https://emcity.com/bible/strong-biblique-grec-kakos-2556.html> (ნახვა 10 ავსიტო 2020).
- Miséral dans la Bible, <https://bible.knowing-jesus.com/ Fran%C3%A7ais /words/Miserable>, (ნახვა 10 ავსიტო 2020).
- Библия онлайн, Иов 30, <https://bible.by/syn/18/30/#8> (ნახვა 25 იანვარი 2021).